



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ლოგისტიკა

მაგისტრატურა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი - 12-13 აპრილი 2021 წელი.

დასკვნის წარდგენის თარიღი - 07 ივნისი 2021 წელი.

თბილისი 2021 წ.

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებთ	სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211349192
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ლოგისტიკა Logistics
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	საინჟინრო ლოგისტიკის მაგისტრი Master of Engineering Logistics
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	ინჟინერია და საინჟინრო საქმე - არაკლასიფიცირებული, 0719
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მიითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მიითითებთ (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული; საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება 2012 წლის 28 სექტემბერი, №468

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თეიმურაზ კოჩაძე, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო.
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ვასილ კიკუტაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ბაქარ დუაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მიითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ რეაკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „ლოჯისტიკა“ შემუშავებულია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე, ლოჯისტიკის დეპარტამენტში. პროგრამა ეფუძნება ამჟამად მოქმედ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამას „ლოჯისტიკა“, რომელიც სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2012 წლის 6 ივლისის №733 დადგენილებით დამტკიცდა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 28 სექტემბრის №468 გადაწყვეტილებით მიენიჭა აკრედიტაცია. ახალი პროგრამა შექმნილია დარგის სპეციფიკისა და უცხოური უნივერსიტეტების გამოცდილებაზე დაყრდნობით და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი არის ერთ-ერთი ტექნიკური უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც წლების განმავლობაში წარმატებით ახორციელებს სამივე დონის აკრედიტებულ აკადემიურ პროგრამებს სატრანსპორტო სისტემებსა და ლოჯისტიკაში. წინამორბედმა „ლოჯისტიკის“ სამაგისტრო პროგრამამ, განვითარების მიზნით, განხორციელების პროცესში განიცადა შემდეგი ცვლილებები: 2016 წელს 4 და მეტ კრედიტიან სასწავლო კურსებს შეეცვალათ საკონტაქტო საათები და გაეზარდათ დამოუკიდებელი მუშაობისთვის განკუთვნილი საათების რაოდენობა. ცვლილების მიზანი იყო სასწავლო კურსის ასათვისებლად სტუდენტებს მისცემოდათ დამოუკიდებლად მუშაობისთვის მეტი დრო. განხორციელებული ცვლილება სტუდენტთა სწავლის შედეგებზე დადებითად აისახა. ზემოაღნიშნული ცვლილება განხორციელდა სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის საბჭოს (№17, 20.04.2016) და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს (N1939, 24.05.2016) გადაწყვეტილებით.

2017 წელს პროგრამამ განიცადა შემდეგი სახის ცვლილებები: განხორციელდა პროგრამის სილაბუსების მოდიფიცირება. ცვლილების მიზანი იყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებებთან პროგრამის შესაბამისობაში მოყვანა. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის საბჭოს (ოქმი№2, 26.01.2017) და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს (24.02.2016) გადაწყვეტილება.

2018 წელს პროგრამამ განიცადა მოდიფიცირება, სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 2 აპრილის №01-05-04/95 დადგენილების საფუძველზე. კერძოდ, შეიცვალა პროგრამის ხელმძღვანელი. პროგრამას დაემატა აღწერა. შეიცვალა პროგრამის განმახორციელებელ პირთა შემადგენლობა. მოდიფიცირება განიცადა სასწავლო კურსის პროგრამებმა (სილაბუსებმა). სილაბუსებში განახლდა ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა.

რეაკრედიტაციაზე წარმოდგენილი მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „ლოჯისტიკა“ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 23 სექტემბრის N 01-05-04/248 დადგენილებით მოდიფიცირდა, რომლის საფუძველი გახდა ერთობლივი პროექტი ევროპის პარტნიორ

უნივერსიტეტებთან პარტნიორობა ერაზმუს + K2 პროგრამის ფარგლებში. საგრანტო ხელშეკრულება (N: 2893/001-001). პროგრამას დაემატა მეორე ხელმძღვანელი, გადახალისდა სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები).

2020 წელს პროგრამამ კვლავ განიცადა შემდეგი სახის მოდიფიცირება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანების თანახმად, სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, დაზუსტდა სწავლის შედეგები და პროგრამის მიზანი. შესაბამისად, მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „ლოგისტიკა“ უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და ძირითადი სწავლის სფეროს შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მეშვიდე დონის (მაგისტრატურის) აღმწერით. პროგრამას დანართის სახით დაემატა პროგრამის სწავლის შედეგები და პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა. სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) განახლდა ლიტერატურა. 2020 წელს საერთაშორისო თანამშრომლობიდან გამომდინარე შეიცვალა პროგრამის დაშვების წინაპირობა და პროგრამაზე შემსვლელებს არჩევითი უცხოური ენების ნაცვლად მოეთხოვება ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა.

რეაკრედიტაციაზე წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამა „ლოგისტიკა“ შექმნილია დარგის სპეციფიკისა და სიახლეების, შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით და პარტნიორი უცხოური უნივერსიტეტების გამოცდილებაზე დაყრდნობით.

პროგრამა ხორციელდება ევროპის ევროპის უნივერსიტეტებთან - პარტნიორობა ერაზმუს+ K2 პროექტის ფარგლებში, რომელშიც მონაწილეობს ოთხი ევროპული უნივერსიტეტი, ექვსი უნივერსიტეტი უკრაინიდან და ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია. პროექტის კონსორციუმის ხელმძღვანელია რომის ვერგატას უნივერსიტეტი (იტალია). საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და კონსორციუმს შორის 2017 წელს გაფორმდა საგრანტო ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვას „ლოგისტიკაში“ (Smart Logistics). პროექტი აგრეთვე ითვალისწინებს მაგისტრანტების მობილობას მეორე და მეოთხე სემესტრში იტალიურ და გერმანულ უნივერსიტეტებში.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „ლოგისტიკა“ ითვალისწინებს 120 კრედიტის დაგროვებას. კრედიტების განაწილება წარმოდგენილია სასწავლო გეგმაში. პროგრამა გრძელდება 2 წელი (4 სემესტრი). პროგრამამ განიცადა მოდიფიცირება და შეიცვალა მისანიჭებელი კვალიფიკაცია. კერძოდ, ნაცვლად „ტრანსპორტის ინჟინერიის მაგისტრი“-სა კურსდამთავრებულს ენიჭება „საინჟინრო ლოგისტიკის მაგისტრი“-ს კვალიფიკაცია. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა სრულ შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამა შედგენილია მოქმედი კანონმდებლობის და ევროპული კრედიტების ტრანსფერის ECTS სისტემის შესაბამისად.

დამსაქმებელთა და ბაზარზე არსებული მოთხოვნების გათვალისწინებით, სასწავლო კურსებში განხორციელდა ცვლილებები და პროგრამაში გაძლიერდა სატრანსპორტო პროცესების მოდელირებასთან და ინფრასტრუქტურის დაგეგმარებასთან დაკავშირებული სასწავლო კურსები, ასევე რიგ სასწავლო კურსებს მიენიჭა არჩევითი სასწავლო კურსის სტატუსი. საგანმანათლებლო პროგრამაში სასწავლო და კვლევითი კომპონენტების თანაფარდობა შემდეგი სახითაა წარმოდგენილი: სწავლების პირველ წელს სასწავლო კომპონენტის 10 კრედიტი ეთმობა უცხოური ენის (ინგლისური) სასწავლო

კურსებს, 44 კრედიტი სპეციალობის სასწავლო კურსებს, ხოლო 6 კრედიტი სპეციალობასთან დაკავშირებულ არჩევით სასწავლო კურსებს. მეორე წელს სასწავლო კომპონენტის 30 კრედიტი ეთმობა სპეციალობასთან დაკავშირებულ სასწავლო კურსებს, მათ შორის პრაქტიკას 6 კრედიტი. 30 კრედიტი ეთმობა კვლევით კომპონენტს, რომელიც ითვალისწინებს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებას და დაცვას.

მაგისტრანტების პრაქტიკის ეფექტურად წარმართვისათვის ხელმოწერილია 10-ზე მეტი მემორანდუმი და ხელშეკრულება საქართველოში წამყვან კომპანიებთან. მათ შორისაა: საქართველოს ლოგისტიკოსთა ასოციაცია, საქართველოს ექსპედიტორთა ასოციაცია, ჰაიდელბერგ ცემენტი, საქართველოს საერთაშორისო გადამზიდავთა ასოციაცია, „ჯორჯიან რეილვეი ტრანსკონტეინერი“ და სხვა. პროგრამის კურსდამთავრებული შეძლებს დაგეგმოს და მართოს შესყიდვების, წარმოების და გასაღების ლოგისტიკის პროცესები. დაგეგმოს და შეასრულოს სატრანსპორტო-ლოგისტიკური ინფრასტრუქტურის პროექტები - ლოგისტიკური ცენტრები, საწყობები, ინტერმოდალური ტერმინალები. იგი შეძლებს გააანალიზოს ლოგისტიკურ ქსელში არსებული პრობლემები და შეიმუშაოს გადაწყვეტილებები მისი ეფექტურობის გაუმჯობესებისთვის.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის შეფასების პროცესი განხორციელდა 2021 წლის 12-13 აპრილს ონლაინ რეჟიმში “Zoom”- ის პლატფორმის გამოყენებით. რასაც წინ უძღოდა უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტის თამთა მოხვეიშვილის ორგანიზებით “Zoom”- ის პლატფორმაზე გამართული ექსპერტთა ჯგუფის წინასწარი შეხვედრა, რომელზეც განხილულ იქნა პროგრამაზე წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში და მასზე თანდართული დოკუმენტაცია. სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით განისაზღვრა ძირითად საკითხთა წრე, რომელთან დაკავშირებითაც მომზადდა შეკითხვები შეფასების პროცესისათვის.

2021 წლის 12 აპრილს “Zoom”- ის პლატფორმის გამოყენებით, 10:10 საათიდან დაიწყო დისტანციური სამუშაო შეხვედრა პროგრამის განხორციელებაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან. სამუშაო განრიგის შესაბამისად, შედგა შეხვედრა-გასაუბრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან (რექტორის მოადგილესთან მეცნიერების დარგში, სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელსთან, სასწავლო დეპარტამენტის უფროსთან, აღრიცხვა-ანგარიშგების დეპარტამენტის უფროსთან სტუ-ს სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის დეკანთან, დაწესებულების და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებთან); ასევე თვითშეფასების ჯგუფთან, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან და სტაჟირების განმახორციელებელთან. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთხოვილი იქნა და გადაიხედა სტუდენტების პრაქტიკის ანგარიშები და სამაგისტრო ნაშრომები.

ექსპერტთა ჯგუფის პირველი დღის ონლაინ სამუშაო შეხვედრა წარიმართა საქმიან გარემოში, აკადემიურად, კონტრუქციულად, კონკრეტულ საკითხებზე მსჯელობის ფონზე.

შეფასების პროცესის მსვლელობისას უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა დროულად წარმოადგინეს დამატებით მოთხოვნილი დოკუმენტები.

ექსპერტთა ჯგუფის სააკრედიტაციო ვიზიტის პირველი დღის (12 აპრილი) ონლაინ შეხვედრები დაწესებულების დაინტერესებულ წარმომადგენლებთან დღის წესრიგის შესაბამისად დასრულდა 17:30 საათზე.

ვიზიტის მეორე დღე (13 აპრილი) დაიწყო დილის 9:00 საათზე ე.წ. შერეული შეხვედრებით, კერძოდ: დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და ბიბლიოთეკის დათვალიერებაში ადგილზე დასწრებით მონაწილეობა მიიღეს: უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა თამთა მოხევიშვილმა და ექსპერტთა ჯგუფის წევრმა ვასილ კეკუტამემ, ხოლო ჯგუფის თავმჯდომარე თეიმურაზ კოჩაძე ბაზების დათვალიერების პროცესში ჩაერთო დისტანციურად.

დაწესებულების უფლებამოსილი წარმომადგენლების თანხლებით ექსპერტთა ჯგუფი ადგილზე გაეცნო მაგისტრანტების სასწავლო პროცესებში გამოყენებულ სალექციო და ლაბორატორიულ სივრცეებს და მოახდინა მათი მდგომარეობის შეფასება. ჯგუფმა ინტერესით დაათვალიერა სატრანსპორტო - ლოგისტიკური პროცესების მოდელირების და სიმულაციის ლაბორატორია, რომელიც შეიქმნა და აღიჭურვა ერაზმუს + K2 პროგრამის ფარგლებში შეძენილი თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკით და პროფესიონალური პროგრამული ტექნოლოგიებით.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოხდა დაწესებულების საბიბლიოთეკო ფონდების დათვალიერება. გადამოწმდა პროგრამის რამდენიმე სილაბუსის ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის ხელმისაწვდომობა მაგისტრანტისათვის ელექტრონულად და ნაბეჭდი სახით.

ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა საგანმანათლებლო პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

ვიზიტის დასასრულს ექსპერტთა ჯგუფმა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს მოკლედ გააცნო ჯგუფის ძირითადი მიგნებები.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „ლოგისტიკა“ აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას შესაბამისი დოკუმენტაციისა და ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით პროგრამა შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნებთან. კერძოდ:

სტანდარტი 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. ვინაიდან სტანდარტის 1.1 კომპონენტი შეფასდა, როგორც მოთხოვნებთან შესაბამისი, 1.2 კომპონენტი აგრეთვე შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

სტანდარტი 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან. ვინაიდან სტანდარტის 2.1, 2.4, 2.5, 2.6. კომპონენტი შესაბამისობაშია, ხოლო 2.2 და 2.3 კომპონენტები მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

სტანდარტი 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. ვინაიდან 3.1 და 3.2 კომპონენტები შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

სტანდარტი 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. ვინაიდან 4.1; 4.2; 4.3 და 4.4 კომპონენტები შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

სტანდარტი 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. ვინაიდან 5.1 და 5.2 კომპონენტი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, ხოლო 5.3 კომპონენტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

აღსანიშნავია, რომ საგანმანათლებლო პროგრამა კონკურენტუნარიანია, უზრუნველყოფილია მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალითა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით, ჰყავს სტუდენტები და კურსდამთავრებულები, რომელთა უმეტესი ნაწილი პროფილის მიხედვითაა დასაქმებული. პროგრამა შემდგომ განვითარებაზეა ორიენტირებული.

▪ რეკომენდაციები

1. რეკომენდებულია დაზუსტდეს როგორ, სად არის გამოყენებული მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების შედეგები პროგრამის გასაუმჯობესებლად.
2. საჭიროა დაზუსტდეს ზოგიერთი სილაბუსის დასათავრების და შინაარსის შესაბამისობა და გამოირიცხოს შესასწავლი თემების თანხვედრა;
3. უმჯობესი იქნება შეიცვალოს კურსების „დისტრიბუცია და საწყობის მენეჯმენტი“ და „მიწოდებათა ჯაჭვის მენეჯმენტი“ შესწავლის რიგითობა;

▪ რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1. შესაძლებელია სასწავლო კურსი „დარგობრივი ტექსტის თარგმნის თეორია და პრაქტიკა“ განთავსდეს არჩევითი სასწავლო კურსების ბლოკში;
2. სასურველი იქნება პროგრამის შემდგომი განვითარების ეტაპზე მონათესავე კურსებში გაძლიერდეს ლოგისტიკური რისკების მართვის საკითხები, ან სასწავლო კომპონენტს დაემატოს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსი.
3. სასურველია უფრო მეტად გამოიკვეთოს მაგისტრანტისათვის სწავლის პირველი შედეგის მიღწევის გზები (გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცება);
4. სასურველია სილაბუსში იყოს ასახული ესა თუ ის სასწავლო კურსი ძირითადია თუ არჩევითი.
5. სასურველია გაიზარდოს ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილე სტუდენტთა რაოდენობა;
6. პერიოდული თვითშეფასების ანგარიშის დოკუმენტში პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზისას მუშა ჯგუფმა უზრუნველყოს უფრო მეტად რეალისტური მიდგომების გამოყენება.
7. სასურველია მკაფიოდ გამოიკვეთოს კონკრეტულად როგორ არის გამოყენებული შიდა ხარისხის შეფასების შედეგები პროგრამის გასაუმჯობესებლად.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
 1. მისასაღმებელია პოგრამის პარტნიორობა ევროპის უნივერსიტეტებთან ერაზმუს + K2 საერთაშორისო პროექტის ფარგლებში, რაც პროგრამის შემდგომ ინტერნაციონალიზაციას უწყობს ხელს, სტუდენტები წარმატებით იყენებენ გაცვლითი პროგრამების შესაძლებლობებს და აქტიურად არიან ჩართული მასში. აღნიშნული დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პრაქტიკის ანგარიშებით და პრაქტიკის დღიურებით, რომლებიც პროგრამის სტუდენტებმა შეასრულეს გერმანიაში, ვისმარის უნივერსიტეტში და იტალიაში, რომის ვერგატას უნივერსიტეტში.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის მიზანია მოამზადოს საინჟინრო ლოგისტიკის დარგის ღრმა ცოდნით, კრიტიკული ანალიზის, პრაქტიკული და კვლევითი უნარებით აღჭურვილი მაგისტრები, რომლებსაც ექნებათ:

- საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი ცოდნა ინჟინერიის სფეროში არსებული ამოცანების და პრობლემების გადასაჭრელად;
- შეეძლებათ მიწოდების ჯაჭვში ეფექტიანი და ოპტიმალური მმართველობითი გადაწყვეტილების მიღება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით;
- სატრანსპორტო და სასაწყობო სისტემების ტექნოლოგიური მოწყობილობების ექსპლუატაციის და სერვისულ სისტემებში პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტით თავის წვლილს შეიტანს დარგის განვითარებაში.

პროგრამის მიზანი შეესაბამება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისიას „შექმნას ისეთი აკადემიური გარემო, რომელიც ინდივიდს შესაძლებლობას მისცემს ჩამოყალიბდეს მაღალკვალიფიციურ კადრად, აღიზარდოს დამოუკიდებელ პიროვნებად, თავისუფალი და დემოკრატიული სამყაროს სრულფასოვან წევრად; მაქსიმალურად შეუწყოს ხელი უნივერსიტეტის თითოეული წევრის საზოგადოებრივ და აკადემიურ თვითგანვითარებასა და თვითრეალიზებას, რაც თანამედროვე თავისუფალი, დემოკრატიული საზოგადოების არსებობის აუცილებელი პირობაა“.

პროგრამის მიზანი შეესაბამება სტუ-ს სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის მისიას, რომელიც ითვალისწინებს სატრანსპორტო დარგთან მიმართებაში უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელებას, მისი საჭირო ხარისხის და რაოდენობის სპეციალისტებით და მეცნიერული კვლევის შედეგებით უზრუნველყოფას.

საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმის შესრულებაში წვლილის შეტანაზე. სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შესაბამისობაშია სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის დებულებაში აღწერილ სტატუსთან, მიზნებთან, ამოცანებთან და საქმიანობის ძირითად მიმართულებებთან, ფაკულტეტის მიერ შემუშავებულ 3 წლიან სამოქმედო გეგმასთან, რომლის ფარგლებში იგეგმება ლოგისტიკის სფეროში დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მჭიდრო თანამშრომლობა პროგრამის დასაქმების ბაზრის მოთხოვნებში ცვლილებების კვალდაკვალ განვითარება, რაც მიმართული იქნება

სტუდენტების სამოქალაქო ღირებულებების ჩამოყალიბებისკენ, პიროვნული და დასაქმების მაჩვენებლების ზრდისკენ. პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „ლოგისტიკა“ შექმნილია დარგში როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოური უნივერსიტეტების გამოცდილებაზე დაყრდნობითა და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით. ლოგისტიკის დეპარტამენტს, რომელიც შეიქმნა როგორც ცალკე სტრუქტურა 2015 წელს, დადებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება და მემორანდუმი საქართველოს ათამდე კომპანიასთან, სადაც სტუდენტები გადიან საწარმოო პრაქტიკას. აღნიშნული კომპანიები აქტიურად თანამშრომლობენ დეპარტამენტთან, როგორც პროგრამის სრულყოფის, ასევე სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიმართულებით. ამ კომპანიებში მაგისტრანტები პროფესორ-მასწავლებლების ხელმძღვანელობით ახორციელებენ კვლევით სამუშაოებს თანამედროვე მეცნიერული მეთოდების გამოყენებით.

საქართველოს, როგორც რეგიონალურ ლოგისტიკურ ჰაბს და საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფანს, გააჩნია დიდი პოტენციალი გახდეს ევროპასა და აზიას შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სატრანზიტო და ლოგისტიკური დერეფანი. ლოგისტიკა წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკის დარგების ეფექტური მართვის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს რომლის წილი მშპ-ში 12 პროცენტს შეადგენს. პროგრამა ითვალისწინებს როგორც ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებს, ისე, მეცნიერების/დარგის, სახელმწიფოს ან/და საზოგადოების განვითარების მოთხოვნებსაც.

პროგრამა ხორციელდება ევროპის პარტნიორ უნივერსიტეტებთან პარტნიორობა ერაზმუს+ K2 პროგრამის ფარგლებში. პროექტში მონაწილეობს ოთხი ევროპული უნივერსიტეტი, ექვსი უკრაინული უნივერსიტეტი და ბათუმის საზღვაო აკადემია. პროექტის კონსორციუმის ხელმძღვანელი უნივერსიტეტია- University of Rome Tor Vergata (იტალია). საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტსა და კონსორციუმს შორის 2017 წელს გაფორმებულია საგრანტო ხელშეკრულება (N: 2893/001-001). პროექტი ითვალისწინებს ერთობლივად სამაგისტრო პროგრამა „ლოგისტიკაში“ (Smart Logistics) დაწერვას. პროგრამის ფარგლებში გამოიყენება კავკასიის რეგიონში უნიკალური ტრანსპორტის მოდელირებისა და სიმულაციის ლაბორატორია, როგორც სასწავლო პროცესში, ისე კვლევებში. პროგრამის ფარგლებში მე-2 და მე-4 სემესტრებში ხორციელდება მსგიდტრანტების მობილობა იტალიურ და გერმანულ უნივერსიტეტებში.

საგანმანათლებლო პროგრამა „ლოგისტიკა“ ხელმისაწვდომობის მიზნით განთავსებულია სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ვებ გვერდზე და გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „ლოგისტიკა“;
2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისია, ხედვა და ღირებულებები - <https://gtu.ge/AboutStu/Mission.php>
3. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმა 2018-2024 წწ. <https://gtu.ge/AboutStu/strategic-plan.php>
4. სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის დებულება. <https://gtu.ge/Stmm/Pdf/FAKULTETIS%20DEBULEBA+.pdf>
5. სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის მისია <https://gtu.ge/Stmm/>
6. საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი;
7. პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია ;

8.სტუ-ს ვებგვერდი- www.gtu.ge

9. სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ვებგვერდი <https://gtu.ge/Stmm/>.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგები შემუშავებულია „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის“ მოთხოვნების შესაბამისად.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „ლოგისტიკა“ სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს პროგრამის შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას. სწავლის შედეგების შესაბამისობა პროგრამის მიზნებთან განსაზღვრულია შესაბამისობის რუკით.

პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს ლოგისტიკურ მომსახურებასთან დაკავშირებულ ტექნიკურ სისტემებს, წარმოაჩენს სტატისტიკური აღრიცხვის ელემენტებს, აკავშირებს ლოგისტიკური სისტემების აპრობირებულ და პრაქტიკაში გამოყენებულ ზოგიერთ გამორჩეულ მეთოდს. სატრანსპორტო სისტემების მართვის პროცესში აფასებს პროგრამული უზრუნველყოფის შესაძლებლობებს სხვადასხვა სიმულაციებისა და პარამეტრის გამოყენებით; ანალიზებს ტვირთბრუნვის საექსპლუატაციო გადაზიდვების მოცულობასა და მიმართულებას; აგეგმარებს სატრანსპორტო ქსელს ტრანსპორტირების სახეობების და მარშრუტების შესაბამისად უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით; წყვეტს მიწოდებათა ჯაჭვში წამოჭრილ პრობლემებს თანამედროვე მართვის სისტემური პრინციპების და ინსტრუმენტების გამოყენებით; ამუშავებს ეკოლოგიურ პროცესებზე სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გავლენის სტრატეგიის ძირითად მიმართულებებს; ჭვრეტს კონფლიქტურ არეალებს სატრანსპორტო სისტემების ორგანიზაციის და მართვის ძირითადი მახასიათებლების შესაბამისად; აფასებს სწავლის გაღრმავების შემდგომ საჭიროებას, შეუძლია პროფესიული საქმიანობის დამოუკიდებლად წარმართვა; პროგრამის კურსდამთავრებულს ეძლევა შესაძლებლობა დასაქმდეს პროფესიით რადგან პროგრამა ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას და შრომის ბაზრის მოთხოვნებს. დარგის სპეციალისტებთან ერთად პროგრამის მოდიფიცირების პროცესში ჩართული იყვნენ კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, სტუდენტები და ყველა დაინტერესებული მხარე. პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს აქვს შესაძლებლობა განათლების შემდეგ საფეხურზე გააგრძელოს სწავლა. პროგრამას განსაზღვრული აქვს სწავლის შედეგების (პირდაპირი) შეფასების მექანიზმი, რომელიც მოიცავს თითოეული სწავლის შედეგის დაგეგმვის, შეფასების, ანალიზის, პერიოდული მონიტორინგის და განვითარების მეთოდებსა და მიდგომებს. სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი მოიცავს: - პროგრამის სწავლის შედეგების და თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგების შესაბამისობას, რაც ცალსახად განსაზღვრავს, რომ პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი არის გაზომვადი და ნათელყოფს თითოეული სწავლის შედეგის მიღწევის რეალისტურ გზებს; - პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმას - რომელიც ასახავს რომ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, დარგის სპეციფიკისთვის დამახასიათებელი პერიოდულობით;

სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენება როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი შეფასების მეთოდები; პროგრამას განსაზღვრული აქვს სწავლის შედეგების (პირდაპირი) შეფასების მექანიზმი, რომელიც მოიცავს თითოეული სწავლის შედეგის დაგეგმვის, შეფასების, ანალიზის, პერიოდული მონიტორინგის და განვითარების მეთოდებსა და მიდგომებს. სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი მოიცავს: პროგრამის სწავლის შედეგების და თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგების შესაბამისობის მატრიცას (ცხრილს). რაც ცალსახად განსაზღვრავს, რომ პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი არის გაზომვადი და ნათელყოფს თითოეული სწავლის შედეგის მიღწევის რეალისტურ გზებს. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა ასახავს, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, ლოგისტიკის სფეროს სპეციფიკის შესაბამისად.

სამაგისტრო პროგრამა „ლოგისტიკის“ სწავლის შედეგების რუკის განხილვის

შედეგად ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ უფრო მეტადაა სჭირო მაგისტრანტისათვის სწავლის პირველი შედეგის მიღწევის გზების გამოკვეთა (გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცება) - რაც ადვილად არის მიღწევადი სწავლის შედეგების რუკის კორექტირებით.

ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის კომპონენტის შეფასება ხდება სასწავლო კურსებში: სატრანსპორტო პოლიტიკა და ტრანსპორტის რეგულაციები; სატრანსპორტო ლოგისტიკა; სატრანსპორტო სისტემების მოდელირება და სიმულაცია.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ოპტიმიზაციის მიზნით, გარკვეული პერიოდულობით ხორციელდება სასწავლო კურსების სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი და სამიზნე ნიშნულებთან დადარება.

აღნიშნულ პროცესში ჩართულია ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, პროგრამის ხელმძღვანელი, რექტორის ბრძანებით შექმნილი ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების კომისია, აკადემიური პერსონალი. სწავლის შედეგების შეფასების ანალიზის საფუძველზე ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამაში განსახორციელებელი ცვლილებების განსაზღვრა. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ხდება ფაკულტეტის საბჭოს წინაშე აღნიშნული საკითხის წარდგენა.

საგანმანათლებლო პროგრამის არაპირდაპირი შეფასების უზრუნველყოფის მიზნით ფაკულტეტზე შემუშავებულია მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება/განვითარებაში ყველა დაინტერესებული მხარის: აკადემიური პერსონალის, სტუდენტების, დამსაქმებლების და კურსდამთავრებულთა ჩართულობას. პროგრამის მოდიფიცირებასთან დაკავშირებული თითოეული საკითხის შეთანხმება და გადაწყვეტა ხორციელდება დეპარტამენტის/ფაკულტეტის საბჭოს და აკადემიური საბჭოს მიერ.

ფაკულტეტზე შემუშავებულია სპეციალური კითხვარები, რომელთა საშუალებით ხდება სტუდენტების, აკადემიური/მოწვეული პერსონალის, დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვა. ინტერვიუს პროცესში დადასტურდა, რომ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით მუდმივად ხორციელდება სტუდენტების გამოკითხვა და ეწყობა ჯგუფური შეხვედრები პროგრამის ხელმძღვანელთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან ერთად. სტუდენტებთან ერთად განიხილება პროგრამის სხვადასხვა კომპონენტები და მოსაზრებების შეჯერების შესაბამისად, იგეგმება სტუდენტების საჭიროებებზე ორიენტირებული ცვლილებების ინიცირება. ამასთან, პროგრამის განვითარების პროცესში ინტენსიურად არიან ჩართული დამსაქმებლები, მათი მოთხოვნების და საჭიროებების გათვალისწინებით ხდება შრომის ბაზრის მოთხოვნის ტენდენციების გათვალისწინება პროგრამის შემუშავება/განვითარების პროცესში. ფაკულტეტზე გარკვეული პერიოდულობით ხორციელდება დამსაქმებელთა და დარგის სპეციალისტთა სამუშაო შეხვედრები, შეხვედრის ძირითადი მიზანია საგანმანათლებლო პროგრამების განხილვა, ასევე დამსაქმებელთა ინიციატივების და მოთხოვნების შეჯამება, რომლის საფუძველზე იგეგმება შესაბამის პროგრამებში ცვლილებების განხორციელება. დამსაქმებელთა ჩართულობა. ფაქტობრივად მათი ინტერესების და საჭიროებების ანალიზი კარნახობს პროგრამას შრომის ბაზრის მოთხოვნის ტენდენციებს და მათი გათვალისწინება პროგრამის შემუშავებისა და განვითარების პროცესში, კურსდამთავრებულთა მაღალი კონკურენტუნარიანობის წინაპირობაა.

პროგრამაში მოცემული სასწავლო კურსების ფართო სპექტრი, მათი მიმდევრობა და შინაარსი განაპირობებს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმებასთან, რაც

დასტურდება კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა შორის ჩატარებული გამოკითხვით .

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „ლოგისტიკა“ ; პროგრამის დან. (პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა);
2. სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები) ;
3. კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები;
4. სამიზნე ნიშნულები;
5. სწავლის შედეგების შეფასების გეგმა;
6. ფაკულტეტის და დეპარტამენტის ოქმები;
7. სტუ-ს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის ელექტრონული სისტემა https://leqtori.gtu.ge/2020_2021/I/B/info
8. კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები;
9. ფაკულტეტის ვებ.გვერდი <https://gtu.ge/Stmm/>;

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- 1.სასურველია უფრო მეტად გამოიკვეთოს მაგისტრანტისათვის სწავლის პირველი შედეგის მიღწევის გზები (გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცება);

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

□ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩარიცხება სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (საერთო სამაგისტრო გამოცდა და სტუ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდა/გამოცდები). გამოცდების საკითხები/ტესტები განთავსდება სტუ-ს სწავლების დეპარტამენტის ვებგვერდზე <http://gtu.ge/Study-Dep/> გამოცდების დაწყებამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე. მაგისტრატურაში ჩარიცხვის მსურველს უნდა გააჩნდეს ინგლისური ენის B2 დონის დამადასტურებელი დოკუმენტი/სერტიფიკატი ან უნდა ჩააბაროს გამოცდა სტუ-ს საგამოცდო ცენტრში უცხოურ (ინგლისურ) ენაში. პროგრამაზე ჩარიცხვა სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე, შესაძლებელია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი კომპეტენციის მქონე პირთა შერჩევას. პროგრამაზე მისაღები

საუნივერსიტეტო გამოცდის საკითხები ლოგიკურად არის დაკავშირებული შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.

საგანმანათლებლო პროგრამის დაშვების წინაპირობები და პროცედურები სამართლიანი და ხელმისაწვდომია.

დამატებითი ინფორმაცია პროგრამის შესახებ ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის, როგორც გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდზე, ისე სტუ-ს სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ვებ-გვერდზე.

საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ასევე, შესაძლებელია, მობილობის წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 2 თებერვლის ბრძანება №10/ნ-ით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის“ შესაბამისად.

საგანმანათლებლო პროგრამაზე ასევე დაიშვებიან მსურველები შიდა მობილობით. შიდა მობილობის ვადები და პროცედურები დგინდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით და ინფორმაცია თავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე „ლოგისტიკა“ დაშვების წინაპირობები და აპლიკანტების მიერ გასავლელი პროცედურები სრულ შესაბამისობაშია ქვეყანაში მოქმედ კანონმდებლობასთან.

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებ გვერდზე, როგორც სიახლეების ველში, ასევე სწავლების დეპარტამენტის გვერდზე ხდება ინფორმაციის განთავსება საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის პროცესებისა და პროცედურების შესახებ. ასევე ფაკულტეტის ვებ გვერდზე განთავსებულია აკრედიტირებული საგანმანათლებლო პროგრამები, სადაც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია გაეცნოს როგორც პროგრამაზე დაშვების წინაპირობას ასევე პროგრამის შინაარსობრივ მხარესაც. უნივერსიტეტის სწავლების დეპარტამენტის და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ვებ-გვერდზე, ასევე ფაკულტეტის ვებ გვერდზე მითითებულია საკონტაქტო ინფორმაცია. ნებისმიერ მსურველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს ინფორმაცია და ნებისმიერი საკითხის კონსულტაცია როგორც სატელეფონო, ასევე ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „ლოგისტიკა“;
2. სტუდენტების გამოკითხვების შედეგები;
3. სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2011 წლის 17 ივნისის №482 დადგენილება „სტუ-ს სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის ინსტრუქცია“ http://law.gtu.ge/wpcontent/uploads/2017/11/stud_kont_form_mob_instr_SD_10082017.pdf
4. მაგისტრატურის დებულება <https://gtu.ge/Study-Dep/Forms/Regulations.php> ;

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, და განვითარების წესი, რომელიც დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ და ეფუძნება ევროპულ უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში დაგროვილ მდიდარ გამოცდილებასა და ამ მიმართულებით დღეისათვის არსებულ უახლეს ტექნოლოგიებს. ეს დოკუმენტი განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში ჩართული უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების, ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის საქმიანობის რეგლამენტს. აღნიშნული წესის მიხედვით ხდება აგრეთვე პროგრამის შექმნის და სტრუქტურირების საკითხებთან დაკავშირებული საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო კომისიების შექმნა და მუშაობის წარმართვა.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „ლოგისტიკა“ არქიტექტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო კურსები დალაგებულია ზოგადიდან კერძოსკენ და მარტივიდან რთულისკენ. სასწავლო გეგმაში მოცემულია ინფორმაცია სასწავლო კურსების დაშვების წინაპირობების შესახებ.

პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრულია და მისი შინაარსი უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისად. შემადგენელი კურსების სილაბუსების შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება საინჟინრო ლოგისტიკის მაგისტრის (0719.1.8) კვალიფიკაცია, რომელიც „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის“ (12.04.2019წ) მიხედვით არ არის კლასიფიცირებული სწავლის ვიწრო სფეროსათვის (071 ინჟინერია და საინჟინრო საქმე) კლასიფიკატორით დადგენილ არცერთ დეტალურ სფეროში, მაგრამ მას საკმაოდ მდგრადი კავშირი აქვს აღნიშნულ ვიწრო სფეროსთან და მისსავე არაკლასიფიცირებულ დეტალურ სფეროში (0719 ინჟინერია და საინჟინრო საქმე) გაწერილ სწავლის სხვა ისეთ დეტალურ სფეროებთან როგორებიცაა: 0719.1.6.აგროინჟინერია, 0719.1.7.სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია, 0719.2.1.ელექტრომექანიკის ინჟინერია და სხვა. სამაგისტრო პროგრამის „ლოგისტიკა“ შინაარსი ასახავს საინჟინრო-ტექნიკურ სისტემების ტექნოლოგიების ორგანიზაციის პროცესებში ლოგისტიკის პრინციპების ეფექტურად გამოყენების შესაძლებლობებს და სასწავლო კურსები თავიანთი მოცულობით, შინაარსობრივი სიღრმით, და სწავლის შედეგებით პასუხობს ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს მეშვიდე დონის (მაგისტრატურა) აღმწერის მოთხოვნებს. ამრიგად, მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის სფეროს შესაბამისი თეორიებისა და პრინციპების კრიტიკული გააზრების უნარის გამომუშავებას და გადაცემული ცოდნის ზოგიერთი უახლესი ასპექტის ათვისებას, ახალი ორიგინალური იდეების განვითარებისათვის საფუძვლების შექმნას, რაც სავსებით შეესაბამება მაგისტრატურის დონის სწავლების საფეხურს.

პროგრამაში შემავალი სასწავლო კომპონენტები ძირითადად არის თანმიმდევრულად და ლოგიკურად დალაგებული:

ა) სწავლების პირველი წელი ეთმობა სპეციალობის ძირითადი საგნების და ინგლისური ენის გაძლიერებულ სწავლებას; თუმცა ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ სასწავლო კურსი „დარგობრივი ტექსტის თარგმნის თეორია და პრაქტიკა“ შესაძლებელია განთავსდეს არჩევითი სასწავლო კურსების ბლოკში. გარდა ამისა პირველი წლის მეორე სემესტრში ისწავლება კურსი „დისტრიბუცია და საწყობის მენეჯმენტი“, რომელზედაც დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია პირველ სემესტრში შესასწავლი კურსი „მიწოდებათა ჯაჭვის მენეჯმენტი“. რადგანაც ეს უკანასკნელი მოიცავს დარგის უფრო ფართო სპექტრს, უმჯობესი იქნება შეიცვალოს მათი შესწავლის რიგითობა, ან მოეხსნას კუსზე დაშვების აღნიშნული წინაპირობა.

ბ) მეორე კურსის პირველ სემესტრში აგრეთვე ისწავლება სპეციალობის საგნები და მაგისტრანტები გადიან საწარმოო პრაქტიკას, ხოლო მეორე კურსის ბოლო მეორე სემესტრი სრულად ეთმობა პროგრამის კვლევითი კომპონენტის - სამაგისტრო ნაშრომის შესრულებას და დაცვას;

პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად; საგანმანათლებლო პროგრამა სტუდენტს აძლევს არჩევითობის შესაძლებლობას არჩევითი კურსების კომპონენტების ბლოკში შემავალი კურსების ფარგლებში;

საგანმანათლებლო პროგრამაში კომპონენტების თანაფარდობა შემდეგი სახითაა წარმოდგენილი:

სასწავლო კურსები – 78 ECTS კრედიტი;

საწარმოო პრაქტიკა – 6 ECTS კრედიტი;

სამაგისტრო ნაშრომის მომზადება და დაცვა – 30 ECTS კრედიტი;

არჩევითი სასწავლო კურსები – 6 ECTS კრედიტი;

სულ სავალდებულო 120 კრედიტი.

სავალდებულო სასწავლო კურსების დანიშნულებაა სტუდენტს გამოუმუშავოს პროგრამით გათვალისწინებული მისანიჭებელი კვალიფიკაციისთვის საჭირო კომპეტენციები.

საგანმანათლებლო პროგრამაში წარმოდგენილი საწარმოო პრაქტიკის კომპონენტის დანიშნულებაა სტუდენტს გააცნოს მომავალი პროფესიული საქმიანობის გარემო, მისცეს საშუალება შეაჯამოს უნივერსიტეტში მიღებული განათლება, გაუძლიეროს პრაქტიკული უნარები, შეაგროვოს მასალები სამაგისტრო ნაშრომის მოსამზადებლად.

სამაგისტრო ნაშრომის მომზადება და დაცვა სტუდენტს გამოუმუშავებს უნარს, თავისი კომპეტენციის ფარგლებში უახლესი მეთოდების და მიდგომების გამოყენებით დამოუკიდებლად დაგეგმოს და გადაწყვიტოს დარგის პრაქტიკული ხასიათის ამოცანა, აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით პროფესიულ საზოგადოებას წაუდგინოს ანგარიში როგორც წერილობით, ისე პრეზენტაციის სახით, ჩაერთოს დისკუსიაში და შეძლოს არგუმენტირებულად დაასაბუთოს მიღებული შედეგები.

საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალი არჩევითი სასწავლო კურსები სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას ძირითადი სპეციალობის მომიჯნავე დარგებში გაიფართოვოს ცოდნის არეალი და გამოიმუშავოს უნარები საკუთარი ინტერესების შესაბამისად.

შესაბამისობა ეროვნულ კვალიფიკაციო ჩარჩოსთან:

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას, რომელიც ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოში წარმოდგენილია შემდეგი სახით:

07 ინჟინერია, წარმოება და მშენებლობა, 071 ინჟინერია და საინჟინრო საქმე, 0719

ინჟინერია და საინჟინრო საქმე – არაკლასიფიცირებული, 0719.1.8. საინჟინრო ლოგისტიკა.

მოდიფიცირებული სამაგისტრო პროგრამის შემუშავებაში ჩართულია უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, მოწვეული პერსონალი, მიმდინარე პროგრამაზე მოსწავლე სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. დასაქმების სფეროს წარმომადგენლებმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიუს პროცესში ერთხმად გამოხატეს კმაყოფილება პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის მიმართ და დადებითად შეაფასეს სტუდენტების ჩართულობით კომპანიებში განხორციელებული პროექტები.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის და შესაბამისად ფაკულტეტის ვებ გვერდზე (<http://gtu.edu.ge/Stmm/Edu-Programs/Bachelor.php>) საჯაროდ და ყველასათვის ხელმისაწვდომად არის განთავსებული ინფორმაცია მოქმედი აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, რომლის მიხედვით დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ ამომწურავი ინფორმაცია „ლოგისტიკის“ სამაგისტრო პროგრამასთან დაკავშირებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „ლოგისტიკა“;
2. სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები);
3. სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 23 სექტემბრის №01-05-04/261 დადგენილების დანართი- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და

განვითარების წესი <https://gtu.ge/quality/Regulation-Documents/Technical-University.php>
 4. პროგრამის მოდიფიცირების პროცესში ჩართული დამსაქმებლების მონაწილეობის დამადასტურებელი დეპარტამენტის ოქმები;
 5. სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ვებგვერდი <https://gtu.ge/Stmm/>.

რეკომენდაციები:

1. უმჯობესი იქნება შეიცვალოს კურსების „დისტრიბუცია და საწყობის მენეჯმენტი“ და „მიწოდებათა ჯაჭვის მენეჯმენტი“ შესწავლის რიგითობა;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1. სასწავლო კურსი „დარგობრივი ტექსტის თარგმნის თეორია და პრაქტიკა“ უმჯობესია განთავსდეს არჩევითი სასწავლო კურსების ბლოკში;

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან, რაც წარმოდგენილია პროგრამის სწავლის შედეგების და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების შესაბამისობის ცხრილის სახით. მაგალითად კურსის „სატრანსპორტო სისტემების მოდელირება და სიმულაცია 1“-ის ერთ-ერთი შედეგია - „ადარებს სტანდარტულ პროგრამულ უზრუნველყოფაში სხვადასხვა ინდიკატორების გამოყენებით მიღებულ შედეგებს ოპტიმალური შედეგის გამოვლენის მიზნით“, რომელიც სრულ შესაბამისობაში მოდის პროგრამაში ასახულ №2 შედეგთან - „სატრანსპორტო სისტემების მართვის პროცესში აფასებს პროგრამული უზრუნველყოფის შესაძლებლობებს სხვადასხვა სიმულაციების და პარამეტრის გამოყენებით ოპტიმალური შედეგის მისაღწევად“.

თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიერ დადგენილ კვალიფიკაციათა მეშვიდე (მაგისტრატურის) დონეს. მაგალითად: ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს მე-7 დონე ითხოვს განზოგადოებულ სწავლის შედეგს - მაგისტრს მოეთხოვება „სფეროს ღრმა სისტემური ცოდნა, რომელიც მოიცავს ზოგიერთ უახლეს მიღწევას და ქმნის საფუძველს ინოვაციებისათვის, ახალი, ორიგინალური იდეების განვითარებისათვის“. სილაბუსი საგანში „მულტიმოდალური სატრანსპორტო ცენტრები“ კი გადის შედეგზე: „პროგრამის კურსდამთავრებული ირჩევს მულტიმოდალური გადაზიდვების პროცესის კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალ, ორიგინალურ გზებს, ადარებს არსებულ თანამედროვე მეთოდებს და მის წინაშე მდგარ ამოცანებს გადაჭრის უახლესი მიდგომების გამოყენებით“, რაც სრულ შესაბამისობაშია ზემოთ მოყვანილ სამაგისტრო კვალიფიკაციის მეშვიდე დონის მოთხოვნებთან.

სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია საინჟინრო ლოგისტიკის დარგის აქტუალურ მიღწევებზე, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა შეესაბამება კურსის შინაარსს და სწავლის შედეგებს. დამოუკიდებელი და საკონტაქტო საათების თანაფარდობა ადეკვატურია და გათვალისწინებულია კურსის სპეციფიკა. სწავლის მეთოდები უზრუნველყოფს სწავლის შედეგის მიღწევას.

სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები) უზრუნველყოფილია უახლესი ქართული და უცხოური ლიტერატურით, რომელიც ხელმისაწვდომია სტუ-ს ბიბლიოთეკაში. პროგრამის სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა დაფუძნებულია ლოგისტიკის დარგების აქტუალურ მიღწევებზე და საჭიროებებზე, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის მოდიფიცირების ფარგლებში განახლდა ლიტერატურა, დაიწერა სასწავლო/პრაქტიკული /ლაბორატორიული და სალექციო კურსები.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „ლოგისტიკა“ შედგენილია ECTS სისტემით, 1 კრედიტი უდრის 25 საათს, რომელშიც იგულისხმება როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის საათები. კრედიტების განაწილება წარმოდგენილია სასწავლო გეგმაში. პროგრამა გრძელდება 2 წელი (4 სემესტრი) და მოიცავს 120 კრედიტს.

ყოველი სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა დადგენილია ამ სასწავლო კურსის მიზნით გათვალისწინებული სწავლის შედეგების, სხვადასხვა სწავლა-

სწავლების მეთოდების საჭიროებისა და ასათვისებელი მასალის სირთულისა და მოცულობის შესაბამისად. მაგალითად: 7 კრედიტიანი საგნისათვის (სატრანსპორტო საშუალების მოდელირება და სიმულაცია 2“ საათების განაწილება შეიძლება იყოს: ლექცია - 0 სთ; პრაქტიკული - 0 სთ საკურსო სამუშაო - 60 სთ, შეფასება 4 სთ და დამოუკიდებელი - 111 სთ, ან სხვა შემთხვევაში სხვა 7 კრედიტიანი საგნისათვის „სატრანსპორტო ლოგისტიკა“ საათების განაწილება ასეთია: ლექცია - 30 სთ; პრაქტიკული - 30 სთ, შეფასება 3სთ და დამოუკიდებელი 112 სთ. რაც სრულიად ლოგიკურია, თანხვედრაშია კურსის შინაარსთან და სტუდენტისათვის აადვილებს შედეგების მიღწევის შესაძლებლობებს. ასევე ადეკვატურია თანაფარდობა საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის კურსების სპეციფიკის გათვალისწინებით.

ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ „საინჟინრო ლოგისტიკის“ კვალიფიკაციის სტუდენტისათვის დარგის სრულფასოვან აღქმაში მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია ლოგისტიკური რისკების მართვის საკითხების შესწავლას, ამის გათვალისწინებით პროგრამის შემდგომი განვითარების ეტაპზე სასურველი იქნება მონათესავე კურსებში გაძლიერდეს ლოგისტიკური რისკების მართვის საკითხები, ან სასწავლო კომპონენტს დაემატოს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსი.

პროგრამის სასწავლო გეგმაში მითითებულია როგორც ძირითადი, ასევე სავალდებულო-არჩევითი სასწავლო კურსები. რაც შეეხება სილაბუსებს, იქ არ არის განმარტებული კურსი ძირითადია თუ არჩევითი. ექსპერტთა ჯგუფის რჩევა იქნება სილაბუსში იყოს ასახული ესა თუ ის სასწავლო კურსი ძირითადია თუ არჩევითი.

ცალკეულ სილაბუსებში გამოყენებულია ერთი ან რამდენიმე სწავლა-სწავლების მეთოდი, რომლებიც განმარტებულია პროგრამის კურიკულუმში (დემონსტრირება, ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი, ანალიზი, ჯგუფური მუშაობა, დისკუსია/დებატები, ახსნა-განმარტება). სილაბუსის ავტორი, სარგებლობს რა აკადემიური თავისუფლების პრინციპებით, სწავლა-სწავლების მეთოდს არჩევს კურსის შინაარსის და სტუდენტის მიერ შედეგების მისაღწევი ეფექტური ხერხების გათვალისწინებით. ხშირ შემთხვევებში პედაგოგი კურსის შინაარსის და შედეგების გათვალისწინებით იყენებს სწავლება-სწავლის მეთოდების შესაბამის აქტივობებს.

თითოეულ სასწავლო კურსში გაწერილია სწავლის შედეგების შეფასების ფორმები, კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები. სასწავლო კურსის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევა ფასდება: მიმდინარე აქტივობით, შუასემესტრული გამოცდით და დასკვნითი გამოცდით.

მიმდინარე აქტივობის შეფასების მაქსიმალური ქულაა - 30 და ითვალისწინებს: 5 ქვიზის და პრეზენტაციის (თემატური საკითხის) შესრულებას.

შუასემესტრული გამოცდა ტარდება წერითი ფორმით საკითხებით. მაქსიმალური ქულა - 30, სემესტრის განმავლობაში ტარდება ერთი შუასემესტრული გამოცდა. შუალედური შეფასებების (მიმდინარე აქტივობების და შუასემესტრული გამოცდის) მინიმალური ჯამური დადებითი შეფასებაა 30 ქულა.

დასკვნითი გამოცდა ტარდება წერითი ფორმატით, საკითხებით. მაქსიმალური ქულა - 40. დასკვნითი გამოცდის მინიმალური დადებითი შეფასებაა 21 ქულა.

სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია ლოგისტიკის დარგის აქტუალურ მიღწევებზე, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სილაბუსებში მითითებული ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა ძირითადად უცხოენოვანია (ინგლისური,გერმანული). უცხოურ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის პროცესში მოძიებული დარგის უახლესი უცხოური ლიტერატურა ჩაიდო სასწავლო კურსების სილაბუსებში დამხმარე ლიტერატურის სახით. სილაბუსებში დამხმარე

ლიტერატურის სახით აგრეთვე გვხვდება ლოგისტიკის სფეროსადმი მიძღვნილ სამეცნიერო ფორუმების მასალებში და პერიოდულ გამოცემებში გამოქვეყნებული თანამედროვე პრობლემებისადმი მიძღვნილი სტატიები. აღნიშნული უცხოური ლიტერატურის მიხედვით აკადემიური პერსონალის ჯგუფის მიერ იქმნება დარგობრივი სალექციო კურსები, რომლებიც ორენტირებულნი არიან დარგის უახლეს მიღწევებზე და უზრუნველყოფენ პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობას.

წარმოდგენილი სილაბუსების დეტალური განხილვის შედეგად უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი კურსის სილაბუსში შეინიშნება დასახელებასთან შინაარსის ნაწილობრივი შეუსაბამობა და ზოგიერთი შესასწავლი თემის თანხვედრა. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ საჭიროა დაზუსტდეს ზოგიერთი სილაბუსის (ჭკვიანი ტრანსპორტი და ლოგისტიკა ქალაქებისათვის, ტრანსპორტის ზემოქმედება გარემოსა და საზოგადოებაზე, სატრანსპორტო სისტემების მოდელირება და სიმულაცია 1) დასათაურების და შინაარსის შესაბამისობა და ზოგიერთი შესასწავლი თემის თანხვედრა;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „ლოგისტიკა“ ;
2. სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები);
3. პროგრამის დანართი - სწავლის შედეგების და პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;
4. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა <http://opac.gtu.ge/>, http://gtu.ge/Library/Cifruli_bibl/cifruli.php.

რეკომენდაციები:

1. საჭიროა დაზუსტდეს ზოგიერთი სილაბუსის დასათაურების და შინაარსის შესაბამისობა და ზოგიერთი შესასწავლი თემის თანხვედრა;

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1. სასურველია პროგრამის შემდგომი განვითარებების ეტაპზე მონათესავე კურსებში გაძლიერდეს ლოგისტიკური რისკების მართვის საკითხები, ან სასწავლო კომპონენტს დაემატოს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსი.
2. სილაბუსში იყოს ასახული ესა თუ ის სასწავლო კურსი ძირითადად თუ არჩევითი.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

○
<p>შეფასება</p> <p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება</p>
<p>პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „ლოგისტიკა“ უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პრაქტიკული და სამეცნიერო - კვლევითი უნარების გამომუშავებას. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია საწარმოო პრაქტიკული კომპონენტი, პროექტები და სამაგისტრო ნაშრომის მომზადება და დაცვა.</p> <p>პროგრამა თავსებადია იტალიურ და გერმანულ პარტნიორ უნივერსიტეტებთან, როგორც პროგრამის მოცულობით, ისე შინაარსით. თავსებადობა აუცილებელი წინაპირობაა რადგან, სტუდენტები სხვადასხვა სემესტრებში მობილობის წესით მიემგზავრებიან პარტნიორ უნივერსიტეტებში, სადაც გადიან ანალოგიურ საგნებს და აქტივობებს, სტუდენტების დანარჩენი ნაწილი პრაქტიკას გადის დამსაქმებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების/მემორანდუმების ფარგლებში, რომელიც ორგანიზებული და დაგეგმილია სწავლის შედეგების შეფასების შესაბამისად. ლოგისტიკის დეპარტამენტში პროექტის ფარგლებში, ერაზმუს+ ის გრანტით შეძენილ იქნა ტრანსპორტის მოდელირებისა და სიმულაციის ლაბორატორია, რომელიც მოიცავს, როგორც სპეცილიზირებულ კომპიუტერულ აღჭურვილობას, ასევე პროგრამულ უზრუნველყოფას (PTV Vissim/Visum), რომელიც გამოიყენება ლაბორატორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობებზე, ასევე სამაგისტრო ნაშრომების შესრულების პროცესში. ფაკულტეტზე შემუშავებულია პრაქტიკული, კვლევითი და ლაბორატორიული სამუშაოების ერთიანი მეთოდოლოგია, რომელიც დაინერგა ევროპული უნივერსიტეტების დახმარებით. გაფორმებულია პრაქტიკის ხელშეკრულებები/მემორანდუმები დარგის შესაბამის ბიზნეს-ორგანიზაციებთან. პრაქტიკას ხელმძღვანელობს კვალიფიციური მენტორი, რომელიც აფასებს სტუდენტის საქმიანობას. დამსაქმებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები/მემორანდუმები ითვალისწინებს პრაქტიკის მიზანს და ხანგრძლივობას.</p> <p>პრაქტიკის ფარგლებში სტუდენტები კომპანიებთან შეთანხმებით და პრაქტიკის ხელმძღვანელის რეკომენდაციით ირჩევენ პრაქტიკის თემას, რომელიც ორიენტირებულია</p>

პრაქტიკის საბაზო კომპანიაში კონკრეტული პრობლემის გადაჭრაზე. აღნიშნული თემატიკების გამოსავლენად ლოგისტიკის დეპარტამენტი ატარებს რეგულარულ შეხვედრებს კომპანიებთან მინიმუმ წელიწადში ორჯერ (მაგალითად: თანდართული დეპარტამენტის თანამშრომლების და დამსაქმებლების ერთობლივი სხდომის ოქმი №33, 2019 წელი). პრაქტიკის ფარგლებში სტუდენტებს ჰყავთ ხელმძღვანელები როგორც ლოგისტიკის დეპარტამენტიდან ასევე კომპანიის მხრიდან. პრაქტიკის პროექტის ფარგლებში სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულნი კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობაში. ისინი უზრუნველყოფენ მონაცემების დამუშავებას და ანალიზს, საერთაშორისო ლიტერატურის და დარგში არსებული საუკეთესო პრაქტიკის მიმოხილვას, კომპანიაში პრობლემის იდენტიფიცირებას და ანალიზს, შესაძლო გადაწყვეტილებების შემუშავებას. აღსანიშნავია, რომ გადაწყვეტილებების შემუშავების პროცესში მიმდინარეობს აქტიური კონსულტაციები პარტიორი უნივერსიტეტების პროფესორ-მასწავლებლებთან.

სასწავლო კურსისათვის „საწარმოო პრაქტიკა ლოგისტიკაში“ დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია მხოლოდ ერთი კურსი „დისტრიბუცია და საწყობის მენეჯმენტი“. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, რადგანაც პრაქტიკა ხორციელდება სწავლების მესამე სემესტრში, მაშინ როდესაც მაგისტრანტს უკვე ათვისებული უნდა ჰქონდეს სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის შემადგენელი ძირითადი და არჩევითი კურსები, მიზანშეწონილია, რომ „საწარმოო პრაქტიკის“ დაშვების წინაპირობად მიეთითოს ყველა სასწავლო კურსი.

პრაქტიკის დასრულების შემდეგ სტუდენტები წარმოადგენენ მოკლე ანგარიშს განხორციელებული პროექტის შესახებ. გადაწყვეტილებების დემონსტრირებას სტუდენტები ახდენენ პრეზენტაციის მეშვეობით კომპანიის და დეპარტამენტის წარმომადგენლების წინაშე. აღნიშნულ პრეზენტაციებს როგორც წესი, ესწრებიან როგორც ლოგისტიკის პროგრამის სხვადასხვა კურსის სტუდენტები, ასევე მოწვეული სტუმრები კომპანიებიდან, დარგის ექსპერტები და სტუდენტები სხვადასხვა ფაკულტეტებიდან.

გარდა პრაქტიკული სწავლებისა ლოგისტიკის პროგრამაში აქტიურად მინდინარეობს კვლევითი სამუშაოები როგორც კერძო სექტორთან, ასევე ლოგისტიკის დეპარტამენტის კვლევითი პროექტების ფარგლებში.

პროგრამის გამორჩეულ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ჩაერთონ იმ კვლევით პროექტებში, რომელსაც ლოგისტიკის დეპარტამენტი ახორციელებს. მაგალითად, Erasmus+-ის ფარგლებში ლოგისტიკის დეპარტამენტი იტალიურ და გერმანულ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით. ლოგისტიკის დეპარტამენტის მიერ აგრეთვე ხორციელდება სტუდენტების ჩართულობით სხვადასხვა კვლევით პროექტებზე მუშაობა, რომელიც დაკავშირებულია შემდეგ თემატიკასთან: სატრანსპორტო ნაკადების შესწავლა, ნაკადების დათვლების განხორციელება და მოანაცემთა ბაზის შექმნა, სატრანსპორტო ნაკადების სცენარების სიმულაციური მეთოდების განვითარება, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზები დ.ა.შ.

უნივერსიტეტში ყოველწლიურად ტარდება სტუდენტთა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, ფაკულტეტებზე მუშაობს სექციები, სადაც მაგისტრანტებთან ერთად მონაწილეობენ ბაკალავრიატის და დოქტორანტურის სტუდენტები. სამივე საფეხურის სტუდენტებისათვის ხდება გამარჯვებულების გამოვლენა კომპეტენტური ჟიურის მიერ. გამარჯვებული მოხსენებების თეზისები იბეჭდება კონფერენციის მასალებში, I,II,III ადგილზე გასულ სტუდენტებს გადაეცემათ სიგელები.

სტუ-ს სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე პერიოდულად გამოდის რამდენიმე საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი, სადაც ინტენსიურად ქვეყნდება სტუდენტების სამეცნიერო სტატიები პროფესორებთან ერთად და ჩატარებული კვლევითი მუშაობის შედეგები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. პრაქტიკის ხელშეკრულებები;
2. დამსაქმებლებთან და პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგები
3. პრაქტიკის შედეგების ამსახველი დოკუმენტაცია.
4. სტუ-ს სამეცნიერო კონფერენციები
https://gtu.ge/Science/research/Scientific_conferences.php;
5. სტუ-ს ჟურნალი „ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა“
https://gtu.ge/Stmm/Faculties/jurnali_transporti_manqanatmshenebloba.php.
6. სტუდენტების თანაავტორობით გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1. სასურველია, რომ „საწარმოო პრაქტიკის“ დაშვების წინაპირობად მიეთითოს ყველა სასწავლო კურსი.
2. სასურველია გაიზარდოს ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილე სტუდენტთა რაოდენობა;

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „ლოგისტიკა“ თითოეული სასწავლო კურსი მოიცავს თემატიკის შესაბამისი სპეციფიკის სწავლა-სწავლების მეთოდებს. რომელთა ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. ყოველ სასწავლო კურსში აღწერილი სწავლა-სწავლების მეთოდები შეესაბამება აკადემიური განათლების საფეხურს (მაგისტრატურა), დიფერენცირებულია (არის მოქნილი) კურსის შინაარსის მიხედვით, ორიენტირებულია კურსის სწავლის შედეგებზე და თავისუფლად უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

ცნობილია, რომ სწავლების მეთოდების წარმატებული გამოყენების წინაპირობა სტუდენტის მიერ სწავლის ეფექტიანი სტრატეგიების დაუფლებაა. ამ მიზნით პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი სწავლების მეთოდის შერჩევას პირველ ეტაპზე სილაბუსში განსაზღვრავს კურსის შესწავლის მიზანს და მოსალოდნელ შედეგს – რა უნდა იცოდეს კურსდამთავრებულმა და რის გაკეთებას შეძლებს ის კურსის ათვისების შემდეგ. კურსის სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას კი პროფესორი ითვალისწინებს, რომ სტუდენტს მხოლოდ კონკრეტული საკითხის შესახებ ცოდნის მიღებაში კი არ დაეხმაროს, არამედ გამოუმუშაოს მას ზოგადი/ტრანსფერული უნარებიც (მაგალითად, კომუნიკაციისა, პრეზენტაციისა, თანამშრომლობისა და სხვ.). სასურველი შედეგის მიღწევაში კი მას ადეკვატურად შერჩეული სწავლების მეთოდები ეხმარება.

„ლოგისტიკის“ სამაგისტრო პროგრამის სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება მიზნად ისახავს კომპეტენციების გამომუშავებას და არა მზა ცოდნის მიღებას. სწავლების აქტიური მეთოდების გამოყენება სტუდენტს აქცევს სწავლების რეალურ სუბიექტად.

პროგრამის სილაბუსებში აღწერილი სწავლება-სწავლის მეთოდები მოიცავს შესაბამის აქტივობებს (დისკუსია, დებატები, დემონსტრირება, პრეზენტაცია, სემინარი და სხვა კონკრეტული მეთოდები მოცემულია სასწავლო კურსების სილაბუსებში). შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერილითი გამოცდა, ზეპირი/წერილითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო, პროექტი და სხვ.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, რეფერატი, წერილობითი დავალება და სხვ.). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების

კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე. სწავლება-სწავლის და კვლევის პროცესში მეთოდები და აქტივობები ერთმანეთს ავსებენ. პროფესორი შეიძლება იყენებდეს ზემოთ ჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე მეთოდს ან ნემისმიერ სხვა მეთოდს და აქტივობას კონკრეტული სასწავლო კურსის ამოცანიდან გამომდინარე. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლების შედეგების მიღწევის მეთოდები და აქტივობები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

სტუ-ს სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ადმინისტრაცია და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს, რაც გულისხმობს სტუდენტის აქტიურ ჩართვას საკუთარი სწავლის პროცესის დაგეგმვაში, მართვაში, მონიტორინგსა და შეფასებაში. უვითარებს სტუდენტს მეტაკოგნიტური სტრატეგიის უნარს, გამოიტანოს დასკვნა იმის თაობაზე, რა და როგორ ისწავლა და დაგეგმოს საკუთარი თვითგანვითარება.

ეფექტიანი სწავლა სოციალური ინტერაქციის გზით მიიღწევა. შესაბამისად, სასწავლო გარემოში ცოდნის კონსტრუირების საუკეთესო საშუალებაა თანამშრომლობითი სწავლების გამოყენება, მაგალითად, ჯგუფური მუშაობა, დისკუსიები, ურთიერთსწავლება და სხვა, რაც საკმაოდ დოზით არის გამოყენებული პროგრამის შემადგენელი კურსების სილაბუსებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის „ლოგისტიკა“ პროგრამა;
2. სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები);
3. „სწავლება-სწავლის მეთოდები და შესაბამისი აქტივობები“
<https://gtu.ge/quality/Files/Pdf/GEO%20scavlmetodi.pdf>.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ო გოთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუ-ში მოქმედებს საკანონმდებლო დოკუმენტებში გაწერილი პროცედურების შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი სტუდენტის შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.

სტუდენტის შეფასების სისტემა ითვალისწინებს სასწავლო კურსის სპეციფიკას და მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებს, კომპონენტებსა და მეთოდებს, რომლებიც საშუალებას იძლევა დადგინდეს, თუ რამდენად მიაღწიეს სტუდენტებმა საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს.

თავისი შინაარსის მიხედვით და სპეციფიკის გათვალისწინებით კურსების სილაბუსებში გაწერილი შეფასების პროცედურები და კრიტერიუმები სხვადასხვაა, ასე მაგალითად: კურსი „მიწოდებათა ჯაჭვის მენეჯმენტი“ მიმდინარე აქტივობა ფასდება - ქვიზით და თემატური პროექტით; შუალედური და დასკვნითი გამოცდა - ღია და დახურული ტესტებით. ხოლო კურსი „სატრანსპორტო სისტემების მოდელირება და სიმულაცია 2“ მიმდინარე აქტივობა ფასდება სტუდენტის მიერ წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოს ანგარიშით; შუალედური გამოცდა - ჩატარდება საკითხებით, ხოლო დასკვნით გამოცდაზე სტუდენტები წარმოადგენენ ჯგუფურ პროექტს, რომლის შეფასება ხდება შესრულებული პროექტის და პროექტის დაცვის უნარის მიხედვით. სილაბუსებში ასევე ნათლადაა გაწერილი თითოეული შეფასების კრიტერიუმისათვის ქულების მინიჭების პროცედურები, რაც სტუდენტებისათვის წინასწარაა ცნობილი და ამავდროულად თვითშეფასების საშუალებასაც წარმოადგენს.

სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოიყენება გამჭვირვალე კრიტერიუმები. შეფასების შედეგები აისახება ელექტრონულ უწყისში, რომლებიც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების შესახებ. ელექტრონულ უწყისს აქვს შეტყობინების ფუნქციაც, რომლის გამოყენებითაც სტუდენტს აქვს საშუალება სასწავლო კურსის პროფესორთან უშუალოდ დაამყაროს დისტანციური კავშირი და

მიიღოს რჩევები მისი ნაკლოვანებების გაუმჯობესების გზების შესახებ; სტუდენტი ინფორმირებულია სტუ-ში მოქმედი შეფასების სისტემისა და შეფასებასთან დაკავშირებით მოქმედი რეგულაციების შესახებ; ფაკულტეტზე მოქმედი წესის შესაბამისად სტუდენტს აქვს ნებისმიერ სასწავლო კურსში მიღებული თავისი შეფასების ადმინისტრაციული გასაჩივრების უფლება; შეფასებაში უმნიშვნელო ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაშიც კი დავა წყდება სტუდენტის სასარგებლოდ.

სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით), რისთვისაც გამოიყენება შეფასებისთვის რელევანტური მეთოდები და კრიტერიუმები. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას (A,B,C,D,E) და ორი სახის(FX, F) უარყოფით შეფასებას.

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი პერიოდულად მონაწილეობს სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების გამოყენების შესახებ დაგეგმილ ტრენინგებში და იღებს შესაბამის მხარდაჭერას. თითოეულ მათგანს წარმოდგენილი აქვთ შესაბამისი სერთიფიკატი , რომელიც თან ერთვის მათ პირად ინფორმაციას.

ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების კომისია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად ახორციელებს სასწავლო კურსების და სამაგისტრო ნაშრომების სწავლის შედეგების შეფასების ანალიზს, არსებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე შეიმუშავენ გარკვეულ რეკომენდაციებს პროგრამაში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. სასწავლო კურსის პროგრამების (სილაბუსები);
2. სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 27 დეკემბერი, 2691 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში „სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია“ <https://gtu.ge/Study-Dep/Forms/Forms.php>
3. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის სისტემა https://leqtori.gtu.ge/2018_2019/I/B/info;
4. 2020-2021 წლის აკადემიური კალენდარი - სასწავლო განრიგი. https://leqtori.gtu.ge/2020_2021/I/B/info
5. სტუდენტების გამოკითხვის შედეგების ანალიზი.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

<ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

<p>3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება</p> <p>სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.</p>

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

„ლოგისტიკის“ სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, რაც სტუდენტებისთვის იძლევა ასევე პრაქტიკის დიდ გამოცდილებას და ამ ფართო არეალს უზრუნველყოფენ ის მსხვილი დამსაქმებელი კომპანიები რომლებსაც მემორანდუმი აქვთ უმაღლეს სასწავლებელთან და არიან დაინტერესებული ზემოთ ხსენებული პროგრამის კურსდამთავრებულებთან თანამშრომლობით. ასევე სტუდენტებს აქვთ საშუალება, რომ მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო პროექტებში, მობილობაში, ღონისძიებებსა და კონფერენციებში, რაც მაღალ ინტერნაციონალიზაციაზე მეტყველებს. ინტერვიუს ფარგლებში, ჩვენ გავესაუბრეთ სტუდენტებს და პროგრამის კურსდამთავრებულებს; ზოგი მათგანი მონაწილეობდა მოკლევადიან გაცვლით პროგრამებში იტალიის და გერმანიის უნივერსიტეტებში. აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით, სტუდენტების ჩართულობა ფასდება ყოველწლიური მათი გამოკითხვით, სადაც მათ სრული უფლება აქვთ გამოხატონ ინდივიდუალური და ობიექტური მოსაზრება, რომელიც ორიენტირებულია პროგრამის სტრუქტურის სტანდარტებთან შესაბამისობაზე.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის დატვირთვაში გათვალისწინებულია სტუდენტთა კონსულტაციებისათვის გამოყოფილი საათები. საკონსულტაციო მომსახურების ფარგლებში სტუდენტები იღებენ სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას. სწავლის დაწყებისთანავე პროფესორი აწვდის სტუდენტებს ინფორმაციას მათთვის გათვალისწინებულ საკონსულტაციო მომსახურებაზე. ყოველი სემესტრის სასწავლო ცხრილის ფორმირებისთანავე, პედაგოგი ადგენს ინდივიდუალურ საკონსულტაციო გრაფიკს, რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტისთვის ფაკულტეტსა და დეპარტამენტში თვალსაჩინო ადგილზე განთავსებულ საინფორმაციო დაფაზე. აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით ტარდება სტუდენტების გამოკითხვა, რომელიც ორიენტირებულია საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურის, შინაარსის, შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსით უზრუნველყოფის დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის პერიოდულ შეფასებაზე. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში არსებობს სტუდენტთა ინფორმირების ელექტრონული სერვისები, რომელიც სტუდენტს საშუალებას აძლევს: დროულად გაეცნოს შეფასების შედეგებს; კომუნიკაცია დაამყაროს სასწავლო კურსის პედაგოგთან ელექტრონული შეტყობინების მეშვეობით;

სტუდენტების კონსულტაციებზე ჩართულები არიან როგორც პროგრამის ხელმძღვანელი, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ასევე დამსაქმებლები. სტუდენტებსა და დამსაქმებლებს შორის უფრო მარტივი ურთიერთკავშირისთვის, სასწავლებელი მუშაობს ახალი ბაზის შექმნაზე, რომელიც იქნება სტუდენტების პორტფოლიოების ერთიანი ბაზა, რაც უფრო გაამარტივებს სტუდენტის დასაქმებას ან/და დამსაქმებლის მიერ წინასწარი ინფორმაციის მოპოვებას მომავალი თანამშრომლის პიროვნულ და პროფესიულ უნარჩვევების შესახებ.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს GTU-tables-ც (ელექტრონული ჟურნალის მობილური აპლიკაცია), რომელსაც აქვს უამრავი შესაძლებლობა და ფუნქციები რაც უფრო მეტად უმარტივებს სტუდენტებს ინფორმაციის მიღებაში და მათი სწავლის პროცესის დაგეგმარებაში. რაც სწავლის/სწავლების პროცესის გამჭვირვალობის ინდიკატორად

შეიძლება ჩაითვალოს.

უნივერსიტეტში სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია:

1. მაღალი დონის ტექნოლოგიებით აღჭურვილი (როგორცაა 3D ტექნოლოგია) ლოგისტიკის ლაბორატორია, რომელიც განკუთვნილია პრაქტიკული და კვლევითი სამუშაოებისთვის.

2. ინფორმატიკის ლაბორატორია - სადაც ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის ელექტრონულად ჩატვირთული სილაბუსები და ლიტერატურა.

3. სიმულატორის ლაბორატორია - სადაც სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით მოახდინონ სატრანსპორტო-ლოგისტიკურ სისტემებში მიმდინარე ტექნოლოგიური პროცესების სიმულაცია და შეირჩიონ ოპტიმალური რეჟიმები;

4. სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ბიბლიოთეკა - სადაც სტუდენტებს შეუძლიათ შესაბამისი ლიტერატურის მოძიება/გამოყენება როგორც ელექტრონული, ასევე ნაბეჭდი სახით,

5. სტუ-ის ცენტრალური ბიბლიოთეკა ადმინისტრაციულ კორპუსში - რომელიც აღჭურვილია 100 მდე კომპიუტერით, ფართო მასშტაბის ლიტერატურით, როგორც ელექტრონული ასევე ნაბეჭდი სახით.

სტუდენტებისთვის ინფორმაცია კონსულტაციის შესახებ ხელმისაწვდომია ფაკულტეტის ვებგვერდზე და თვალსაჩინო ადგილზე განთავსებულ საინფორმაციო დაფებზე.

ერთ-ერთ კურსდამთავრებულთან ინტერვიუს დროს მივიღეთ ინფორმაცია რომ მან გაიარა კონსულტაცია კონკრეტული სამუშაოს შესასრულებად სტუ-ის აკადემიურ პერსონალთან სწავლის დასრულების შემდეგაც, რაც მეტყველებს სტუდენტების/კურსდამთავრებულების მასწავლებლებთან/პროფესორებთან მჭიდრო ურთიერთობაზე.

სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ მიიღონ საჭირო ინფორმაცია უნივერსიტეტის პერსონალისგან და მოწვეული პროფესორებისგან. ადმინისტრაციული პერსონალი მზადაა საჭიროების შემთხვევაში დახმარება გაუწიოს სტუდენტებს ყველა საჭირო საშუალებით, იქნება ეს ინფორმაციის მოძიება თუ სხვაგვარი ხელშეწყობა სწავლის პროცესთან და გრაფიკთან ადაპტირებისთვის.

ყველა სტუდენტს და აკადემიურ პერსონალს აქვს საუნივერსიტეტო ელექტრონული ფოსტა. სტუდენტს სასწავლო პროცესის მანძილზე ელექტრონული ფოსტის მიმღწერის გზით საჭირო ინფორმაციის მიღების საშუალება აქვს მისი ნებისმიერი ლექტორისაგან - ყოველი სასწავლო კურსის პროგრამაში (სილაბუსში) მითითებულია ლექტორთა საკონტაქტო ინფორმაცია.

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის „ლოგისტიკის“ ფარგლებში სტუდენტება ისარგებლეს საერთაშორისო მობილობით საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და კონსორციუმს შორის 2017 წელს გაფორმებულია საგრანტო ხელშეკრულება (N: 2893/001-001) ფარგლებში. მაგისტრებმა მობილობით ისარგებლეს იტალიის და გერმანიის უნივერსიტეტებში. სტუდენტები ხელმძღვანელებთან ერთად მონაწილეობენ საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენცებში. უნივერსიტეტი მხარს უჭერს სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევით ინიციატივებს, ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში მათ მონაწილეობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანება "საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდება"; <http://gtu.ge/AboutStu/Thesis.php>;
2. სტუ-ს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის ელექტრონული სისტემა <https://leqtori.gtu.ge>
3. აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული პერსონალის პირადი საქმეები;
4. სტუ-ში აკადემიური დატვირთვის გაანგარიშებისა და განაწილების ინსტრუქცია;
5. სტუდენტთა მიღწევები;
6. სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ვებგვერდი: <https://gtu.ge/Stmm/>.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია კურსდამთავრებულების უფრო ფართოდ ჩართვა პროგრამის გაუმჯობესებაში (გამოკითხვები, რჩევები, პრაქტიკული საქმიანობიდან მიღებული გამოცდილებები და ა.შ.).

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამა „ლოგისტიკა“ არის კომპლექსური პროგრამა დარგთაშორისი (სატრანსპორტო-საინჟინრო-ლოგისტიკური) მიმართულებით. მისანიჭებელი კვალიფიკაცია არის „საინჟინრო ლოგისტიკის მაგისტრი“. პროგრამა მოიცავს 30 კრედიტის მოცულობით კვლევით კომპონენტს, რომელიც უზრუნველყოფს კვლევების ინდივიდუალურად ჩატარებას და სამაგისტრო ნაშრომის მომზადებას, სწავლის პროცესში მიღებული თეორიული ცოდნის და პრაქტიკული უნარ-ჩვევების სისტემატიზაციის საფუძველზე.

საკვლევი თემის შერჩევა ხდება მაგისტრანტის, შესაბამისი მიმართულების წამყვანი პერსონალის და პროგრამის ხელმძღვანელის უშუალო მონაწილეობით. თემის სამეცნიერო ხელმძღვანელი/ები, სათაური და მოკლე აღწერა განიხილება შესაბამისი დეპარტამენტის სხდომაზე, ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე და დასამტკიცებლად წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს.

სამაგისტრო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელი შეიძლება იყოს ტექნიკური უნივერსიტეტის, ან სხვა უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი (მეტწილად პროფესორი, ასოცირებული პროფესორი), ემერიტუს-პროფესორი. აგრეთვე სტუ-თან ინტეგრირებული სამეცნიერო ინსტიტუტების მთავარი ან უფროსი მეცნიერი თანამშრომელი. დოქტორის ხარისხის მქონე მოწვეული პირი, რომელსაც აქვს შესაბამის სფეროში კვლევის გამოცდილება, რაც დასტურდება მინიჭებული ხარისხით და პუბლიკაციებით. ასევე მისი/მათი სამეცნიერო მიმართულება შესაბამისობაში არის მაგისტრანტის საკვლევ თემატიკასთან და გააჩნიათ საკმარისი გამოცდილება თემის კვლევით დაგეგმილი მეთოდებისა და ხერხების რეალიზაციის შესახებ.

კვლევების თემატიკა შეირჩევა პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის სამეცნიერო კვლევების მიმართულებებიდან გამომდინარე, რეგიონისათვის და ქვეყნისათვის აქტუალური ტექნიკურ-ეკონომიკური ხასიათის პრობლემების შესაბამისად. საკვლევი თემების შერჩევისას ხდება მაგისტრანტის ინტერესების, აგრეთვე პარტნიორი უნივერსიტეტებისა და დარგის ბიზნეს-დამსაქმებლების ინტერესების გათვალისწინება.

სამაგისტრო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელი სისტემატური ზედამხედველობას უწევს სტუდენტის მუშაობას, კვლევის მიმდინარეობას და ხარისხს, საჭიროებიდან გამომდინარე უწევს კოსულტაციებს ნაშრომის გეგმის შედგენაში, უახლესი რელევანტური ლიტერატურის და კვლევის მეთოდების შერჩევაში, მუშაობის პროცესში წამოჭრილი პრობლემების გადაწყვეტაში, სამაგისტრო ნაშრომის შერჩევის, გაფორმების და დაცვის პროცედურების შესახებ.

სამეცნიერო ხელმძღვანელის ვალდებულებები, ნაშრომის შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები დეტალურად მოცემულია „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დებულება მაგისტრატურის შესახებ“

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. მაგისტრატურის ხელმძღვანელების პირადი საქმეები და სამეცნიერო აქტივობები;
2. „სტუ-ის მაგისტრატურის დებულება“

<p>3. https://gtu.ge/Learning/debuleba_magistraturis_sesaxeб.php</p> <p>4. კონსულტაციების განრიგი;</p> <p>5. სტუდენტების გამოკითხვის შედეგები.</p>
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>ი გოთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

„ლოგისტიკის“ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 9 აკადემიური (მათ შორის 7 აფილირებული, მათ შორის 4 პროფესორი, 2 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტ-პროფესორი) და 2 მოწვეული პერსონალი. აკადემიურ პერსონალს გააჩნია პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენციები, რაც დასტურდება მათი პირადი საქმეებით, სადაც წარმოდგენილია ინფორმაცია, როგორც მათ მიერ სამეცნიერო, რეფერირებად ჟურნალებში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების, ისე შესაბამისი პროფესიული საქმიანობის მრავალწლიანი გამოცდილების შესახებ, კერძოდ საანგარიშო პერიოდში მათი მონაწილეობით შესრულებულია 21 საგრანტო პროექტი, პერსონალის უმრავლესობას გააჩნიათ, როგორც სამაგისტრო ისე სადქოტორო ნაშრომების ხელმძღვანელობის გამოცდილება, არიან საერთაშორისო ჟურნალების სარედაქციო კოლეგიის წევრები, რეცენზენტები, სხვადასხვა სალექციო კურსების და მონოგრაფიული ნაშრომების ავტორები, რაც დასტურდება მათ პირადი საქმეებში წარმოდგენილი ინფორმაციით. აკადემიური პერსონალი შერჩეულია ღია კონკურსის წესით. სტუ-ის განსაზღვრული აქვს აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის პოზიციების შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, სამუშაო აღწერილობები და ფუნქციები. აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია სტუდენტების რაოდენობასთან, კერძოდ 9/33 არის, რაც უზრუნველყოფ პროგრამის მდგრადობას.

„ლოგისტიკის“ სამაგისტრო პროგრამას ყავს ორი ხელმძღვანელი, რომლებსაც გააჩნიათ მრავალწლიანი კადემიური და ადმინისტრაციული საქმიანობის გამოცდილება. ისინი ფლობენ პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელ ცოდნას და გამოცდილებას. ისინი

უშუალოდ არიან ჩართული პროგრამის განხორციელებაში, პროგრამის განვითარებაში, სტუდენტების კონსულტირებაში (პროგრამის სპეციფიკის, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების, შეფასების მეთოდების, პრაქტიკის, სამაგისტრო ნაშრომთან დაკავშირებული საკითხები) პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხების გადაწყვეტაში, ხელმძღვანელობენ პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირების საქმიანობას.

პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით, კერძოდ პროგრამის განხორციელებას ხელს უწყობს სათანადო კომპეტენციების მქონე როგორც უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, რომლებიც, სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებისა და თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოფენ სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხების მოგვარებას, პროგრამის განხორციელებისთვის სათანადო პირობების შექმნას, პროგრამასთან და სასწავლო პროცესთან დაკავშირებით სტუდენტების ინფორმირებას და დახმარებას შექმნილი პრობლემების გადაჭრაში, ისე სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი. რომელიც წარმოდგენილია დეკანის, დეკანის მოადგილის და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის, ფაკულტეტის მენეჯერის, ბიბლიოთეკარით და სპეციალისტებით. პროგრამის სტუდენტებთან ინტერვიუებით დადასტურდა, რომ პროგრამის მომსახურე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი საკმარისია და უზრუნველყოფს პროგრამის შეუფერხებელ ფუნქციონირებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „ლოგისტიკის“ სამაგისტრო პროგრამა;
- პროგრამის თვიშეფასების დოკუმენტი;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები;
- ინტერვიუები პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან;
- ინტერვიუები ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან;
- აკადემიური პერსონალის შრომითი და აფილირების ხელშეკრულებები;
- <https://gtu.ge/quality/Auth/Accreditation.php>;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, კერძოდ უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმის (2018-2024) ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს „ხარისხზე ორიენტირებული საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარება“ და „ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა“, რომელთა შესაბამისად უნივერსიტეტი გეგმავს და ახორციელებს სხვადასხვა პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით სხვადასხვა ღონისძიებებს, მათ შორის სემინარებს, სასერტიფიკატო კურსებს, ვორკშოპებს, კონფერენციებს და ა.შ. მაგალითად პროგრამის ხელმძღვანელმა და ერთ-ერთმა განმახორციელებელმა (რ.თედორაძე) აკადემიურმა პერსონალმა (ზ. შენგელია) უნივერსიტეტის მხადაჭერით 2018 მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაში „აზერბაიჯანი საერთაშორისო სატრანსპორტო სისტემაში: მიზნები და პერსპექტივები“; პროგრამის ერთერთა პროფესორი (ზ. დობორჯგინიძემ) 2018 წელს ერასმუს + პროგრამის ფაგრლებში აკადემიური მობილობით იმყოფებოდა სილეზიის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში (პოლონეთი, კატოვიცე), რომის ვერგატას პარტნიორ უნივერსიტეტში; რომის საპიენსას უნივერსიტეტში; პროგრამის პროფესორმა (ლ.პეტრიაშვილი) 2019 წელს მონაწილეობა მიიღო საფრანგეთში ქალაქ ნიცაში „IPAG ბიზნეს სკოლის“ ეგიდით გამართულ ვორკშოპში თემაზე „მატერიალური ნაკადების ოპტიმალური მართვა მიწოდების ჯაჭვში“ და ა.შ. გარდა ამისა პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები არიან სხვადასხვა საერთაშორისო ფონდების სტიპენდიანტები, მაგალითად პროფესორი ლ. პეტრიაშვილი არის DEADE სტიპენდიანტი და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ პერსონალის წახალისების მიზნით სტუ-ში მოქმედებს აკადემიურ, მოწვეულ პროფესორზე და მასწავლებელთა პერსონალზე სახელფასო დანამატის (ბონუსის) გაცემის წესი, რომლის კრიტერიუმები გულისხმობს აკადემიური პერსონალის განვითარების მოტივაციას. კერძოდ, სტუ-ს აკადემიურ, მოწვეულ პროფესორთა და

მასწავლებელთა პერსონალი ყოველწლიურად ახდენს ანკეტა-კითხვარის ფორმით საკუთარი მიღწევების თვითშეფასებას გასული კალენდარული წლის შედეგების გათვალისწინებით, ხოლო სახელფასო დანამატის (ბონუსის) გაცემის საკითხის ინიცირების უფლება აქვს უნივერსიტეტის შესაბამისი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის (ფაკულტეტი) ხელმძღვანელს, რომლის წარდგენის საფუძველზე სახელფასო დანამატის (ბონუსის) გაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტის რექტორი საკუთარი დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ცხადია, რომ უნივერსიტეტი ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე და ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „ლოგისტიკის“ სამაგისტრო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები;
- ინტერვიუები პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან;
- ინტერვიუები ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან;
- სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმა 2018-2024 წწ.
(<https://gtu.ge/AboutStu/Strategic Plan for Development of gtu 2018-2024.php>)

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული

სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

„ლოგისტიკი“-ს სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფილია ყველა იმ საჭირო ინფრასტრუქტურითა და აღჭურვილობით, რაც საჭიროა სასწავლო პროცესების შეუფერხებელი წარმართვისთვის. ზოგადად, უნივერსიტეტი და ფაკულტეტი სადაც ხორციელდება აღნიშნული პროგრამა მოიცავს საჭირო ხარისხისა და რაოდენობის მატერიალური-ტექნიკური ბაზა (აუდიტორიები, ლაბორატორიები, სასწავლო ინვენტარი, სააქტო დარბაზები, არქივი, ბიბლიოთეკა, ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერული ცენტრები და კლასები, შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფები). შესაბამისად პროგრამა უზრუნველყოფილია საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსით. გარდა ცენტრალური საბიბლიოთეკო რესურსებისა პროგრამის სტუდენტებს საშუალება აქვთ ისარგებლონ უშუალოდ ფაკულტეტზე არსებული წიგნადი ფონდით. ფაკულტეტზე ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია რომელიც აღჭურვილია სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის დაგეგმვის და მართვის სპეციალური პროგრამებით, რაც აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „ლოგისტიკის“ სამაგისტრო პროგრამა;
- პროგრამის თვიშეფასების დოკუმენტი;
- ინტერვიუები პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან;
- ინტერვიუები ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან;
- უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის ადგილზე დათვალიერება;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

<p>პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>სტუ-ს სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ბიუჯეტი, უნივერსიტეტის ბიუჯეტის განუყოფელი ნაწილია, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ, სადაც გათვალისწინებულია სამაგისტრო პროგრამის მხარდაჭერა ფინანსური რესურსებზე ორიენტირებული ძირითადი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებაზე. წარმოდგენილი ბიუჯეტი მოიცავს ინფორმაციას, როგორც ფაკულტეტის დონეზე, ისე „ლოგისტიკის“ სამაგისტრო პროგრამის შესახებ, თუმცა პროგრამა სარგებლობს უნივერსიტეტის საერთო საბიუჯეტო პოლიტიკის ფარგლებში გათვალისწინებული დაფინანსებით. ბიუჯეტში გათვალისწინებულია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ანაზღაურების და სხვ. აქტივობების ხარჯები. ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის საჭიროებების დაფინანსებას.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ სტუ-ს ბიუჯეტი https://gtu.ge/AboutStu/stu-budget.php ▪ სტუ-ს სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ბიუჯეტი https://gtu.ge/Stmm/; ▪ პროგრამის ბიუჯეტი. ▪ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან;
<p>რეკომენდაციები:</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და ანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის მოქნილი სისტემა და აღწერს ყველა იმ ელემენტს, რომელიც მონაწილეობს უნივერსიტეტის ხარისხის გაუმჯობესების პროცესში. იგი უნივერსიტეტის მართვის პროცესის შემადგენელი ელემენტების: დაგეგმვის, ორგანიზების და მონიტორინგის განუყოფელი ნაწილია. სისტემა დაფუძნებულია: დაგეგმვა (Planning), განხორციელება (Doing), შეფასება (Checking), განვითარება (Acting) (PDCA) ციკლზე. შესაბამისად დაწესებულებს გაწერილი აქვს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და განვითარების მიზნით, ფაკულტეტზე იქმნება კომისია. კომისიის თავმჯდომარეა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი. კომისია ამოწმებს საგანმანათლებლო პროგრამითა და სასწავლო კურსების პროგრამებით გათვალისწინებული ლაბორატორიული აღჭურვილობის, სათანადო ლიტერატურის, პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის, აუდიტორიებისა და პროგრამის სხვა პარამეტრების შესაბამისობას ავტორიზაციისა და აკრედიტაციის მოთხოვნებთან, აგრეთვე პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შესრულების პროცესის მიმდინარეობას. კომისიის წევრები უფლებამოსილნი არიან, თავისი მოვალეობიდან გამომდინარე, ფაკულტეტის შემადგენლობაში შემავალი აკადემიური დეპარტამენტებისა და პროგრამის ხელმძღვანელებისაგან გამოითხოვონ საჭირო ინფორმაცია და დოკუმენტაცია. პროგრამის განხორციელების მონიტორინგის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პროგრამის დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების

მიღწევას. ასევე, საგანმანათლებლო პროგრამის შედეგების არაპირდაპირი შეფასების მიზნით ფაკულტეტზე შექმნილია სპეციალური კითხვარები, რომლის საშუალებითაც აკადემიურ პერსონალს, სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს და დამსაქმებლებს აქვთ შესაძლებლობა გამოხატონ თავიანთი მოსაზრებები და რეკომენდაციები და აქტიურად იყვნენ ჩართულნი საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების პროცესში. შესაბამისად, აღნიშნული კითხვარების საფუძველზე განხორციელებული გამოკითხვის შედეგად მიღებული ინფორმაციის სტატისტიკური ანალიზის საფუძველზე ხდება კვლევის ანგარიშის ფორმირება. პროგრამას თან ახლავს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების და კურსდამთავრებულების, პოტენციური დამსაქმებლების კვლევის შედეგების ანგარიში. შესაბამისად პროგრამას, თან ახლავს პროგრამის სამიზნე ნიშნულები, დადგენილია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით განსაზღვრულ მაგისტრატურის საფეხურის შესაბამის (დონე 7) დონესთან, განსაზღვრულია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობა, იდენტიფიცირებულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ინდიკატორების და კრიტერიუმები ცალკეულ სასწავლო კურსებთან მიმართებით, ამასთან პროგრამის კურიკულუმის ანალიზის რუკაზე ბუნდოვანია თუ როგორ, რომელის სასწავლო კურსებში ხდება პროგრამის პირველი სწავლის შედეგის გაცნობა, შესაბამისად სასურველია აღნიშნული დეტალის კორექტირება. ასევე, სასურველია მკაფიოდ გამოიკვეთოს კონკრეტულად როგორ არის გამოყენებული ხარისხის შეფასების შედეგებ პროგრამის გასაუმჯობესებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „ლოგისტიკის“ სამაგისტრო პროგრამა;
- პროგრამის თვიშეფასების დოკუმენტი;
- ინტერვიუები უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების ხელმძღვანელებთან;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება - <http://gtu.ge/quality/About-Us/Statue.php>;
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები;
- კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები;
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია პროგრამის სასწავლო კურსების და სწავლის შედეგების რუკაზე დაფიქსირდეს რომელ სასწავლო კურს(ებ)ში ხდება პროგრამის პირველი სწავლის შედეგის გაცნობა;

<ul style="list-style-type: none"> ○ სასურველია მკაფიოდ გამოიკვეთოს კონკრეტულად როგორ არის გამოყენებული შიდა ხარისხის შეფასების შედეგები პროგრამის გასაუმჯობესებლად. ○ პერიოდული თვითშეფასების ანგარიშის დოკუმენტში პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზისას მუშა ჯგუფმა უზრუნველყოს უფრო მეტად რეალისტური მიდგომების გამოყენება.
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>5.2 გარე ხარისხის შეფასება</p>
<p>პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>უნივერსიტეტი გარე ხარისხის შეფასებისთვის იყენებს აკრედიტაციის და ავტორიზაციის მექანიზმებს. უნივერსიტეტის გარე შეფასებას ახორციელებს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. ლოგისტიკის სამაგისტრო პროგრამას საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 28 სექტემბრის N468 გადაწყვეტილებით 7 წლის ვადით მიენიჭა აკრედიტაცია. ვინაიდან წარმოდგენილი პროგრამა ხორციელდება „ერაზმუს + K2“ პროგრამის ფარგლებში პარტნიორი უნივერსიტეტების მონაწილეობით, შესაბამისად პროგრამის პირველადი შეფასება ბუნებრივია მოხდებოდა პარტნიორი უნივერსიტეტების მიერ, მათ შორის არის ოთხი ევროპული უნივერსიტეტი, ექვსი უკრაინული უნივერსიტეტი და ბათუმის საზღვაო აკადემია. პროექტის კონსორციუმის ხელმძღვანელი უნივერსიტეტი - University of Rome Tor Vergata (იტალია).</p>

რაც შეეხება ავტორიზაციის მექანიზმების გამოყენებას გარე ხარისხის შეფასების მიზნით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 1 ოქტომბრის №76 გადაწყვეტილებით საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს მიენიჭა ავტორიზაცია.

ამასთან, პროგრამას თან ახლავს დადებითი გამოხმაურებები ბათუმის საზღვაო აკადემიის ბიზნესის და მართვის ფაკულტეტიდან, ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის ლოგისტიკის ფაკულტეტიდან და საქართველოს ლოგისტიკის ასოციაციიდან რაც შესაძლებელია განხილული იქნეს როგორც გარე ხარისხის შეფასების ერთგვარ მექანიზმად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „ლოგისტიკის“ სამაგისტრო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;
- ინტერვიუები უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების ხელმძღვანელებთან;
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები;
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 28 სექტემბრის №468 გადაწყვეტილება;
- საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 1 ოქტომბრის №76 გადაწყვეტილებით საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტისათვის ავტორიზაციის მინიჭების თობაზე;
- გამოხმაურებები და სარეკომენდაციო წერილები;

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ლოგისტიკის სამაგისტრო პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით. კერძოდ, პროცესებში ჩართულია პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი, პროგრამის სტუდენტების, კურსდამთავრებულები და პოტენციური დამსაქმებლები. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებულია სპეციალური ანკეტა კითხვარები, როგორც ფაკულტეტის აკადემიური პერსონალისთვის, ისე სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და პოტენციური დამსაქმებლისათვის. კითხვარების მეშვეობით ხორციელდება ასევე როგორც ცალკეული სასწავლო კურსი, ისე პრაქტიკის კომპონენტი და ინტერნაციონალიზაციის პროცესი აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის მიერ. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კვლევის ანგარიშიდან ირკვევა, რომ მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის თანამშრომლების ნახევარზე მეტი თვლის (59.2%), რომ „სრულიად ჩართულია“ საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებულ პროცესებში, ადმინისტრაციიდან მათ აქვთ დიდი ხელშეწყობა, ფაკულტეტის ხელმძღვანელი პირები ყოველთვის მზად არიან მათ დასახმარებლად (77.6%). შესაბამისად, ცხადია რომ პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში. პროგრამის განხორციელების მონიტორინგის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მახვილდება იმაზე, რომ პროგრამა უზრუნველყოფდეს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისთვის განსაზღვრულია შემდეგი კრიტერიუმები:

- პროგრამის ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების გამოკითხვის შედეგები;
- სტუდენტების დასწრების-აქტივობის მონიტორინგის შედეგები;
- სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შედეგები;
- პროგრამიდან განთესვისა და პროგრამის დასრულების მაჩვენებელი;

<ul style="list-style-type: none"> ▪ პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებელი და მათი გამოკითხვის შედეგები; ▪ დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები; ▪ სტუდენტების გამოკითხვის შედეგები; ▪ პროგრამაში ჩართული პროფესორ-მასწავლებლების გამოკითხვის შედეგები; ▪ გარე შემფასებლების მიერ ჩატარებული შეფასების შედეგები (არსებობის შემთხვევაში); ▪ სხვა დაინტერესებული მხარეების (მაგ., პროფესიული ასოციაცია) მიერ გაკეთებული შეფასების შედეგები (არსებობის შემთხვევაში). <p>სტუ-სა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელდა სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის შეფასება. შეფასების პროცესებში ჩართულები იყვნენ აკადემიური და მოწვეული პერსონალი, დამსაქმებლები, დარგის სპეციალისტები. შეფასებები განხორციელდა დეპარტამენტის სამუშაო შეხვედრებზე, შესაბამისი კითხვარების და საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან წარმოდგენილის სარეკომენდაციო წერილების, ჩატარებული გამოკითხვის შედეგების მეშვეობით, რაც თან ახლავს წარმოდგენილ პროგრამას. თუმცა ბუნდოვანია როგორ არის გამოყენებული შეფასების შედეგები პროგრამის გასაუმჯობესებლად, შესაბამისად რეკომენდებულია აღნიშნული დეტალების მკაფიოდ წარმოჩენა, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების პროცესების გამჭვირვალეობის გაზრდას. საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის შეფასების და აკრედიტაციისათვის მზადების პროცესში მონაწილეობდა საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ჯგუფი, რის შედეგადაც შემუშავებული იქნა პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ „ლოგისტიკის“ სამაგისტრო პროგრამა; ○ პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი; ○ ინტერვიუები უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების ხელმძღვანელებთან;
<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> • რეკომენდებულია დაზუსტდეს როგორ, სად არის გამოყენებული მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების შედეგები პროგრამის გასაუმჯობესებლად.
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა

აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:
„ლოგისტიკა“, მაგისტრატურა;

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 50 (ორმოცდაათი).

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			


აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

თეიმურაზ კოჩაძე



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები

ვასილ კიკუტაძე



ბაქარ დუაძე

